MES 4 20 0001123190

25/11/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.11.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული**-სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

11. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოციირებული პროფესორი;
12. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
13. **ნიკოლოზკიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
14. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
15. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თამარა აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ივანე აბიათარი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირული პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი, საბუნებისმეტყველ მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი	I
2	მიხეილ ოკუჯავა		პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი, საბუნებისმეტყველ მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი	I
3	იაგორ კალანდაძე		პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი, საბუნებისმეტყველ მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი	I
4	ელენე ჟურავლიოვა		ხარისხის სამსახურის უფროსი, საბუნებისმეტყველ მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი	I
5	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
				I

6	დავით თარხნიშვილი		დეკანი, საბუნებისმეტყველ მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი	
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II - III
2	ირინე ფხაკაძე		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	II – III
3	თენგიზ ლობჟანიძე		ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,სტომატოლოგია" ხელმძღვანელი	II – III
4	რუსუდან კორთქიფანიძე		"საშემსრულებლო ხელოვნების" პროგრამის ხელმძღვანელი	II – III
5	ტატიანა ვახტანგაძე		"საშემსრულებლო ხელოვნების" პროგრამის ხელმძღვანელი	II - III

	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი	
1	ივანე აბიათარი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		I	
2	მიხეილ ოკუჯავა			I	
3	იაგორ კალანდაძე			I	
4	ელენე ჟურავლიოვა			I	
5	ნინო ჟვანია			I	
6	დავით თარხნიშვილი			I	
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		II - III	
2	ირინე ფხაკაძე			II – III	
3	თენგიზ ლობჟანიძე			II – III	
4	რუსუდან კორთქიფანიძე			II – III	
5	ტატიანა ვახტანგაძე			II - III	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირინა ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ანი ბილანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნანა მდინარაე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	კონსტანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

7	თამარ ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საშემსრულებლო ხელოვნების" (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობადღისწესრიგისცვლილებასთანდაკავშირებით

· დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი - ლალი ოდიშვილი

შუამდგომლობის არგუმენტაცია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019978 და №1019392 გადაწტვეტილებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019978 „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “მასწავლებლის მომზადების” საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ“ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019392 „შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საშემსრულებლო ხელოვნების" (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019978 „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

საბჭოს თავმჯდომარემ განიხილა 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019978 „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ გადაწყვეტილების დანართში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში, გადაწყვეტილების დანართის მე-16 და მე-18 პუნქტებში მისათითებელია გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2020 წლის 21 ოქტომბერი, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად კი 2022 წლის 21 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ-აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №№1019978 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

2. **მეორე საკითხი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1019392 „შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ განიხილა 2020 წლის 21 №1019392 „შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილება და დაადგინა რომ გადაწყვეტილების დანართში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტებში, გადაწყვეტილების დანართის მე-16, მე-17 და მე-18 პუნქტებში მისათითებელია გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2020 წლის 21 ოქტომბერი; აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 6 თვე - 2021 წლის 21 აპრილი, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად კი 2027 წლის 21 ოქტომბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გასწორდეს „შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 21 ოქტომბრის №1019293 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912
12	კვალიფიკაციის კოდი	0912
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	ქეთევან დედოფლის გამზირი N16, თბილისი, 0103, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო დობორჯგინიძემ და პაატა ბრეკაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ირინა ფხაკაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დისტანციური ვიზიტი მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტი მიმდინარეობდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს. ასევე გაიმართა შეხვედრები PhD სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. ჯგუფმა „ონლაინ“, თანამედროვე ტექნილოგიების გამოყენებით დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობა 3-5 აკადემიური წელია. მედიცინის სადოქტორო პროგრამა მოიცავს ორ ქვემიმართულებას: 1. მოლეკულური და ექსპერიმენტული მედიცინა; 2. ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა.
ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშვების პროცესში გათვალისწინებულ იქნა 2011 წლიდან დღემდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების მაჩვენებლები, აგრეთვე მედიცინის მიმართულების მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები და საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან მიღებული უკუკავშირი. პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევდა სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინგლისურ ენაზე პროგრამის განხორციელებაზე თანხმობის მისაღებად განცხადებით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელმაც 2020 წლის 27 თებერვლის N252299 კორესპონდენციით აცნობა, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს თანხმობის შესახებ ინგლისურ ენაზე განახორციელოს მედიცინის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. შეიქმნა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით განახორციელა მონაცემების შეგროვება და ანალიზი, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად მოამზადა თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის პირთათვის, განისაზღვროს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამის შინაარსსა და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ასევე გასწორდეს ჩანაწერი მიღების წინაპირობაში „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია“;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის წინაპირობის გადახედვა.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით ასე შეფასდა: 1.1, 1.2, 2.2, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, და 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, და 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათპოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა, ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებით მოემზადებინა კონკურენტუნარიანი მკვლევარი, რომელიც შეძლებდა ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელებული ინოვაციური კვლევის საფუძველზე უახლესი ცოდნის შექმნას და მის ტრანსფერს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე; ასევე, ამ ცოდნის გამოყენებას კვლევით და აკადემიურ საქმიანობაში. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების და საერთაშორისო კოლაბორაციის გაღრმავების მიზნით მედიცინის სადოქტორო პროგრამის სწავლების ენად განისაზღვრა ინგლისური ენა. აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია უცხოელი კონსულტანტების აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე ტენდენციებს. პროგრამა საშუალებას იძლევა დაიფაროს სამედიცინო კვლევების ფართო არეალი, როგორც კლინიკური ისე ფუნდამენტური მედიცინის სფეროში. აღნიშნული შესაძლებელი გახდა ადამიანური და მატერიალური რესურსების გაძლიერებით. პროგრამა ითვალისწინებს კვლევით აქტივობას ორი მიმართულებით: მოლეკულური და ექსპერიმენტული მედიცინა და ტრანსპლაციური და კლინიკური მედიცინა. სასწავლო პროგრამისთვის შემუშავდა რელევანტური სწავლის შედეგები, შეიქმნა სასწავლო რუკა და შემუშავდა შესაბამისი სასწავლო კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები, სწავლის შედეგების მიღწევისთვის სამიზნე ნიშნულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2.1 ქვესტანდარტის აღწერაში მითითებული იყო, „რადგან დაშვების წინაპირობაში აღნიშნულია დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია ჩნდება შეკითხვა, რამდენად შეესაბამება უკანასკნელი სადოქტორო პროგრამით მისაღწევ შედეგებს, კერძოდ, ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნის მიზნით შეუძლია ინოვაციური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, სამედიცინო კვლევების თანამედროვე და მაღალინფორმაციული მეთოდების გამოყენებით. ამასთანავე, სტომატოლოგიის მიმართულებით კვლევა ნაკლებად შეესაბამება მედიცინის სადოქტორო პროგრამის შინაარსს და შესაბამისად პროგრამით განსაზღვრულ შედეგს. დასაზუსტებელია რა კრიტერიუმებით მოხდება ამ კვალიფიკაციის აპლიკანტების შერჩევა სადოქტორო პროგრამაზე და როგორ უპასუხებს სტომატოლოგის კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტის განაცხადი ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებას". დაწესებულება ექსპერტთა აღნიშნულ პოზიციას არ ეთანხმება, რადგან დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირის ცოდნა და უნარები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგი: „ბაზისური მედიცინის მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნის მიზნით შეუძლია ინოვაციური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, სამედიცინო კვლევების თანამედროვე და მაღალინფორმაციული მეთოდების გამოყენებით". აქვე განმარტეს, რომ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში არ მოიაზრებოდა კლინიკური სტომატოლოგიის მიმართულებით (დარგობრივი) კვლევების განხორციელება. დიპლომირებული სტომატოლოგის მიღება პროგრამაზე ხდებოდა მხოლოდ ისეთი ფუნდამენტური კვლევების ფარგლებში, რომლებიც აქტუალური იყო საბაზისო მედიცინისთვის და არა მხოლოდ პირის ღრუს მედიცინისთვის. შესაძლებელი იყო უამრავი მაგალითის დასახელება, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამედიცინო კვლევები, რომლებში ჩართვაც სრულფასოვნად შეეძლო დიპლომირებულ სტომატოლოგს (მაგ.: ბაზისური პირის ღრუს ონკოლოგიური კვლევები, პირის ღრუს მიკრობიომის კვლევები, ნერწყვში ბიომარკერების იდენტიფიცირება, კბილის ღეროვან უჯრედებთან დაკავშირებული კვლევები და ა.შ.). მსგავსი საერთაშორისოდ აქტუალური მიმართულებები არ წარმოადგენდა კონკრეტულად კლინიკური სტომატოლოგიის კვლევის საგანს, მაგრამ საშუალებას აძლევდა ბაზისური მედიცინით დაინტერესებულ სტომატოლოგებს, განეხორციელებინათ აღნიშნული ტიპის კვლევები. ასევე, აღსანიშნავია, რომ დოქტორანტურის აპლიკანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან მიმართებით დგინდებოდა კვლევის განაცხადის წარმოდგენით და ზეპირი გამოცდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია არ გამორიცხავდა მედიცინის სფეროში უახლესი კვლევის ჩატარებისთვის საჭირო უნარების არსებობას. ამით არის განპირობებული მიღების ის პრაქტიკაც, რომელიც დანერგილი იყო არა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტების მედიცინის სადოქტორო პროგრამების უმრავლესობაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ემსახურებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. მოგახსენებთ, რომ ევროპული და ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემა მოიაზრებდა ამ ტიპის კვალიფიკაციის მინიჭებას. მაგალითად, დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ხშირია საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება მოლეკულური მედიცინის მაგისტრის (Master in Molecular Medicine) კვალიფიკაცია. იქიდან

გამომდინარე, რომ ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტები არ არიან შეზღუდულები კვალიფიკაციების სახელწოდების ფორმირებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაციის“ შესახებ ჩანაწერის არსებობა პროგრამის წინაპირობის აღწერაში. მსგავსი კვალიფიკაციის აპლიკანტი აკადემიური თვალსაზრისით ცალსახად აკმაყოფილებს პროგრამის წინაპირობას და აღჭურვილია კვლევითი უნარებით მედიცინაში.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს სამეცნიერო პუბლიკაციის დაწერისა და საგრანტო განაცხადის მომზადებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას, რისი შემოწმებაც პროსპექტუსის დაცვით ვერ ხერხდება. ამასთანავე, კურსის განმავლობაში დოქტორანტი მუშაობს საკუთარი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ვიზუალიზაციასა და კვლევის შედეგების სათანადო ფორმირებაზე, საერთაშორისო პუბლიკაციებისთვის მისაღებ დონეზე, რაც თავისთავად პროსპექტუსის დაცვის შემდგომ ხდება კვლევის იმ საფეხურზე, როდესაც გარკვეული რაოდენობის მონაცემები უკვე მიღებულია და შესაძლებელი ხდება ჰიპოთეზის გადამოწმება. შესაბამისად, კურსი „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ განკუთვნილი იყო იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ დაცული პროსპექტუსი და კვლევის შედეგად ჰქონდათ პუბლიკაციისთვის საკმარისი მონაცემები და შედეგები.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ ყურადღება გაამახვილა დაშვების წინაპირობებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით მოხდა წინაპირობების გამიჯვნა სტომატოლოგიისა და მისი მომიჯნავე პროგრამებისთვის. მნიშვნელოვანი იყო, რომ ფუნდამენტური კვლევების გაკეთება შეუძლია არა მხოლოდ დიპლომირებულ მედიკოსსა და დიპლომირებულ სტომატოლოგს, არამედ მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებსაც. შესაბამისად, დააზუსტა, რამდენად იყო შესაძლებელი მაგალითად, ბიოლოგიის მაგისტრის მოცემულ პროგრამაზე დაშვება.
დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში კვლევები მრავალი მიმართულებით ხორციელდებოდა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო მსგავსი პრეცედენტის დაშვება. კლასიფიკატორის მიხედვით, ცალ-ცალკე იყო გამოყოფილი სტომატოლოგია და მედიცინა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ განსაზღვრავდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დოკუმენტი ახდენდა მხოლოდ სფეროების კლასიფიკაციას. მიღების წინაპირობების განსაზღვრის დროს დაწესებულება უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელობდა, რომ რეგულირებად სპეციალობებზე დაიშვებოდა წინა საფეხურის კუსდამთავრებული. თუმცა სადოქტორო საფეხური არ იყო რეგულირებული, შესაბამისად, ამ ბრძანების გათვალისწინება აღნიშნულ შემთხვევაში ვერ მოხდებოდა. წინაპირობებში განისაზღვრა აპლიკანტების ის კატეგორია, რომელთა განაცხადიც შესაძლებელია იყოს განხილული პროგრამაზე მიღების პროცესში. პროგრამაში არ იყო სწავლის ცალკე სფეროდ განსაზღვრული მედიცინა და ცალკე სფეროდ სტომატოლოგია. პროგრამაზე დაიშვებოდა მედიცინის ან სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული მხოლოდ განაცხადის საფუძველზე და საკვლევი სფეროების მიხედვით, რომლებიც პროგრამით იყო განსაზღვრული. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტს მოუწევდა სულ მცირე ორი პუბლიკაციის გამოცემა, დარგში, რომელშიც კვლევის შედეგების ვალიდურობის დადასტურება მოხდებოდა. პროგრამაზე არ მიიღებოდა სტომატოლოგიის პროგრამის მაგისტრი, თუ მას არ ექნებოდა კვლევის განსახორციელებლად აუცილებელი უნარები. პროგრამაზე მიღების ეტაპზე აპლიკანტები გაივლიდნენ გასაუბრებას, სადაც კომისიის წევრები საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე ატარებდნენ დეტალურ და მკაცრი გასაუბრების პროცესს. აქედან გამომდინარე, გამორიცხული იყო არა რელევანტური აპლიკანტის მიღება.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:55
დასრულების დრო: 17:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასება:

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციისსაბჭომ ნაწილობრივგაიზიარაექსპერტთამიერგაცემულირეკომენდაციებიდა ჩამოაყალიბაშემდეგირედ აქტირებით:

- დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის პირთათვის, განისაზღვროს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამის შინაარსსა და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ასევე გასწორდეს ჩანაწერი მიღების წინაპირობაში „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია“. **აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება უნივერსიტეტში არსებულ სტომატოლოგიის ქართულენოვან სადოქტორო პროგრამას.**

რჩევებშიგადავიდაშემდეგირეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა“ დოქტორანტებისთვის წინაპირობის გადახედვა.

გადაწყვეტილება
,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვან) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011, N64
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ერთსაფეხურიანი
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911- დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ. N59, ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N11, ახალგაზრდობის პროსპექტი N98, 4600, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო. უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას პირველად აკრედიტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებოსაკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 23 სექტემბერს №64 გადაწყვეტილებით მიენიჭა. ამჟამად პროგრამა გადიოდა რეაკრედიტაციას. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა იყო 5 წლიანი, მოიცავდა 10 სემესტრს და 300 კრედიტს. ამჟამად პროგრამაზე სწავლობდა 327 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო უნივერსიტეტის 29 აკადემიური პერსონალი (7 პროფესორი, 21 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი), აქედან 20 აფილირებული იყო სსიპ- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ და 11 მოწვეული პერსონალი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2020 წლის 13 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადაეცათ პროგრამა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია შესასწავლად. ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულებას შორის შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. პროცესმა ჩაიარა თანამშრომლობით და მშვიდ ვითარებაში, ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. დათვარიელებული იქნა უნივერსიტეტის და კლინიკების ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დაკავშირებული იყო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებასთან. ყველა დოკუმენტი და მასალა, რომელიც დამატებით იქნა მოთხოვილი, ექსპერტებს გადაეცათ დროულად. ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნდა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი. უნივრსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქცია- მოვალეობებს სწავლების ხარისხის განვითარება წარმოადგენდა, მუშაობდა ეფექტურად. პროგრამის, სწავლის ხარისხის და სხვა გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები იგეგმებოდა გუნდურად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით. აღსანიშნავია დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების რეალური და აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში, რამაც განაპირობა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტისა და საკონტაქტო საათებისა ხვედრითი წილის გაზრდა თეორიულ და კლინიკურ სასწავლო კურსებსა და უცხო ენაში. სტომატოლოგიის პროგრამისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი რეალური და მიღწევადია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

განმეორებითი აკრედიტაციისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიღწევას წარმოადგენდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)-ის დანერგვა. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების მიერ მოხდა პრაქტიკული კომპონენტისა და უცხო ენის კურსის გაძლიერება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია შეიქმნას სასწავლო კურსი „ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“;
2. სასურველია კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს „ორთოდონტიაში“;
3. სასწავლო კურსებში (თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7. ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7, ორთოპედიული სტომატოლოგია 1,2,3; პირის ღრუს ქირურგია 1,2,3; ყბა-სახის ქირურგია1,2,3) შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული კომპონენტის შეფასებაც.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.3, 2.4, 2.5, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.2, და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 თებერვლის (N01-7/ნ), ბრძანებით "საექიმო სპეციალობათა ნუსხის განსაზღვრის შესახებ",

ქირურგიული სტომატოლოგია გაიყო მიმართულებით: "პირის ღრუს ქირურგია" და "ყბა-სახის ქირურგია". შესაბამის სპეციალობაში სერთიფიკატის მქონე ექიმ სტომატოლოგს უფლება ეძლევა საექიმო საქმიანობა აწარმოოს, როგორც ბავშვებში ასევე მოზრდილებში. შესაბამისად, რეკომედაციის გათვალისწინებით, სასწავლო კურსის "პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგიის“ და „ყბა-სახის ქირურგიის“ ფარგლებში გაძლიერდება ბავშვთა ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შესწავლა, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა კლინიკაში დაესწროს ყველა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტის მომსახურებას, აღნიშნული უზრუნველყოფილია საგნის განმახორციელებელი პირის შესაბამისი კვალიფიკაციით, რაც ვიზიტის დროს დადასტურებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშრებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებდა და სასწავლო კურსს „ორთოდონტია“ 6 კრედიტის ნაცვლად დაეთმობოდა 10 კრედიტი.

მე-3 რეკომედაციასაც იზიარებდა დაწესებულების წარმომადგენელი და თვლიდა, რომ კლინიკური კომპონენტის შეფასება ხელს შეუწყობდა მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვას.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ განსაზღვრული მე-3 რეკომენდაცია იყო საკამოდ რელევანტური, რაც დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ მოემზადა დაწესებულება აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად და როგორ მოხდება პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირება. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, თუ როგორ მოახერხა პროგრამამ არსებულ პანდემიურ მდგომარეობასთან ადაპტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გაზიარებას და მათ გათვალისწინებას მოჰყვა ქმედითი ღონისძიებები. მოხდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შემოღება, რომლისთვისაც ასევე განხორციელდა ტექნიკური უზრუნველყოფა. დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო დამკვირვებელთა გადამზადება. პარალელურად, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით კურიკულუმის მოდიფიკაციის დროს მოხდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლების ახალის მეთოდებისა და შეფასების მიმართულებით. უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილია უწყვეტი განათლების ტრენინგ-ცენტრი, სადაც ხორციელდებაოდა აკადემიური საბჭოს მიერ აკრედიტებული ტრენინგები და კურსები.

აღსანიშნავია ასევე, რომ უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განახორციელა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა სტუდენტების მონაწილეობით. რის საფუძველზეც მოცდა OSCE-ის საფუძვლებისა და მეთოდების გაცნობა და მათი სიღრმისეული შესწავლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ასევე უზრუნველყო ტექნიკური მასალების ჩამოტანა. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, „მულაჟებითა“ და აუცილებელი ინვენტარით. უნივერსიტეტში იგეგმებოდა OSCE-ის გამოცდის ჩატარება, თუმცა ეპიდსიტუაციამ აღნიშნულის განხორციელებას ხელი შეუშალა. შესაბამისად, დაწესებულება მუშაობდა ონლაინს შეფასების სისტემებზე და მაქსიმალურად ცდილობდა სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვლმა დააზუსტა, თუ რატომ განისაზღვრა, ,,სამედიცინო ეთიკა“ და ,,უცხო ენა“ არჩევით საგნებად. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია] იყო პროგრამის მე-8 შედეგის გადახედვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აპლიკანტების შერჩევა ხდებოდა ყველა ენის მიხედვით და 15 კრედიტის ფარგლებში ხდებოდა საუნივერსიტეტო სწავლის დროს უცხო ენის ათვისება, აღნიშნული ეხებოდა, როგორც საბაკალავრო, ასევე ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს, იყო სავალდებულო და მოიცავდა ინგლისურს, ფრანგულს, რუსულსა და გერმანულს. სტომატოლოგიის პროგრამაზე კი არჩევით უცხო ენად განსაზღვრული იყო მხოლოდ ინგლისური. დამსაქმებლის მხრიდანაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენდა ინგლისური ენის ცოდნა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:58
დასრულების დრო: 18:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და პროგრამის შეფასება.

გადაწყვეტილება:

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საშემსრულებლო ხელოვნების" (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	"საშემსრულებლო ხელოვნება (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი, დადასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა)"
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.12.2019, N 266
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	"საშემსრულებლო ხელოვნების (ფორტეპიანო, საორკესტრო, (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა)"
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	კვალიფიკაციის კოდი	0215
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ პროგრამამ - "საშემსრულებლო ხელოვნება (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა)" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების (№266, 19.12.2019) სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, გადაწყვეტილების ამავე ნაწილით დაწესებულებას განესაზღვრა 6 რეკომენდაციის გათვალისწინება. ხოლო რეკომენდაციების შესრულების და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვრა 6 თვის ვადა, 2020 წლის 01 ივლისამდე.. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა თვითშეფასების ჯგუფთან ერთად განიხილა რეკომენდაციები, შეარჩია ადექვატური მიდგომები და დაგეგმა მათი შესრულებისთვის განსახორციელებელი აქტივობები.

შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, შემუშავდეს და დამტკიცდეს შემოქმედებითი ტურის ჩატარების მარეგულირებელი დოკუმენტი, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი უნარებისა და მომზადების მქონე პირების პროგრამაზე ჩარიცხვა;

2. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსი საჭიროებს განახლებას. ლიტერატურა გასაფართოებელია თანამედროვე მასალით, ახალი გამოცემებით. თეორიულ სასწავლო კურსებში განახლებას საჭიროებს ლიტერატურა (უმეტესად რუსულენოვანი). ეს გამოწვეულია ენის ბარიერით, თუმცა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ინგლისური ენის კომპეტენციების გაზრდაზე და ეს ბარიერიც ადვილად დაძლევადია.
3. აუცილებელია, სპეციალურ მუსიკალურ კურსებში საშემსრულებლო რეპერტუარი გაფართოვდეს XX-XXI საუკუნის მუსიკალური ნიმუშებითაც;
4. აუცილებელია, დაიხვეწოს სწავლა-სწავლების მეთოდები და კურიკულუმის სწავლა-სწავლების საერთო მენიუდან კურსების სილაბუსებში მხოლოდ იმ მეთოდზე გაკეთდეს მითითება, რომელსაც რეალურად მიმართავს სწავლებისას ლექტორი. განსაკუთრებით აუცილებელია გადაიხედოს საშემსრულებლო საგნების სილაბუსებში მეთოდოლოგიის გრაფა და მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამაში მოცემულ მეთოდებთან;
5. რეკომენდებულია, შემუშავდეს მიმართულების შესაბამისი აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, სადაც გათვალისწინებული იქნება პერსონალის სასწავლო დატვირთვის გარეშე აქტივობები;
6. რეკომენდებულია, ფინანსური რესურსების გადანაწილების დოკუმენტი შემუშავდეს პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით.
გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები. ისინი შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და დამტკიცდა არსებული წესებისა და პროცედურების დაცვით. გადამუშავდა პროგრამა და სილაბუსები, დაიხვეწა სწავლების მეთოდები, გაუმჯობესდა პროგრამის სასწავლო რესურსები, განახლდა სასწავლო ლიტერატურა. რეკომენდაციების შესრულებისას გამოიკვეთა, როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ისე ადმინისტრაციის და მართვის ორგანოების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. დაწესებულების მიერ მოხდა ექსპერტთა განსაზღვრული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება და შესრულება.
ასევე, შემოქმედებითი ტურის დებულებაში ტურების ჩატარების ვადებთან დაკავშირებით აღნიშნულია - „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების შესახებ“ დებულების საფუძველზე, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე აბიტურიენტი გადის შესაბამის კონკურსს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით. მიმდინარე წელს ტურების ჩატარების ვადებთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა „ერთიანი ეროვნული გამოცდეის ჩატარების დებულებაში“, რის შემდეგაც შესაძლებელია ტურების ჩატარება ეეგ-ის შემდეგაც. სასურველია დებულება შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათპოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექპერტებს შესრულებული სამუშაოსთვის. დაწესებულების მხრიდან მოხდა თითოეული რეკომენდაციის გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
დაწესებულებამ ასევე გაიზიარა შემოქმედებით ტურთან დაკავშირებული რჩევა და მოახდინა დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საშემსრულებლო ხელოვნების (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი, დადასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და პროგრამის შეფასება.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საშემსრულებლო ხელოვნების" (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა